საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანდრონიკაშვილი თამაზ პაატას ძე

ანდრონიკაშვილი თამაზ პაატას ძე (გ. დაახლ. 1759), კახეთის სამეფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. ქიზიყის მოურავი, ერეკლე II-ის მამიდაშვილი.

თავი გამოიჩინა ყაზიყუმუხის სახანოს ხანის სურხაის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1746 ა-მა სასტიკად დაამარცხა ქიზიყში შეჭრილ ლეკთა 15-ათასიანი ლაშქარი. ამ გამარჯვების გამო ნადირ-შაჰმა სპარსეთში მიიწვია და უხვად დააჯილდოვა. 1747–49 თავი ისახელა აბდულა-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში. მონაწილეობდა ერევანზე (1749–51), განჯა-ყარაბაღზე (1750) მოწოყბილ ლაშქრობებში. დიდი როლი ითამაშა აჯი-ჩალაბის საწინააღმდეგო კამპანიებში.

1752 ა-ს დაევალა შინაპატიმრობაში აეყვანა ერეკლე II-ის პოლიტ. მოწინააღმდეგე პაატა ბატონიშვილი, რ-იც მალე „გაექცა“ მეთვალყურეებს და იმერეთში გადავიდა ლევან აბაშიძესთან. 1754 აპრილში ა. ერეკლე II-ის ბრძანებით დააპატიმრეს და ქიზიყის მოურავად იასე ამილახვარი დანიშნეს. მაგრამ მალე ა. ისევ აღადგინეს ძველ პატივში.

1759 ერეკლე II-მ იგი კვლავ შერისხა.

წყარო: ორბელიანი პ., ჰამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981.